№ 260 15 ქრისტეშობისთვე, შაბათი 1866—1879 15 ქრისტეშობისთვე, შაბათი № 260

რედაქცია: ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

მომავალ 1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

გამოცემაზედ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ — ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება“ — — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია“ — — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირება — 5 კაპეიკი.

— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელდრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 12 დეკემბერს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 10 დეკემბერს მოსული ქ. კანიდამ: წუხელ იმპერატრიცას ცუდათ ეძინა, ხველა აწუხებდა; დილას იმპერატრიცა სუნთქმის შეკავებას უჩიოდა და გულიც მომეტებულად უცემდა.

პეტერბურღი, 12 დეკემბერს. რუსულ ჟურნალმა „სლოვომ“ მიიღო მთავრობისაგან მეორე გაფრთხილება სამი სტატიისათვის: „მიზანი დასავლეთ ევროპის ცივილიზაციისა“, „თანამედროვე საფრანგეთი“ და „დიალექტიკის მნიშვნელობა მეცნიერებაში.“

პეტერბურღი, 12 დეკემბერს. ორი დღის განმავალობაში გაუწყვეტელი და გაცხარებული ზარბაზნის სროლა არის ავღანის სატახტო ქალაქს ქაბულთან. იაკუბ-ხანის უფროსი ვაჟი—მუსსა მაჰმედ-ხანმა ავღანის ემირად გამოაცხადა.

—

კავკასიის მთებიდამ, 13 დეკემბერს. ამინდი მუდამ დღე იცვლება, ამ ჟამად

## ფელტონი

ისტორიული მასალები

(დასასრული)

1825 წ. აზრუმელი ჰაჯი-ყადირ-ოღლი ოსმან-ფაშა მოვიდა. ამის დროს ბერძნები რომ აშლილი იყვნენ რუსი და ევროპიელები ოსმალოზედ ამხედრდნენ,—ახალციხეში მოვიდა ბრძანება ბერძნების ხმალ-ქვეშ გავლება. ჩვენი ახალციხელი ქართველებიც ბერძნის ალიარებით, რომ ბერძნობას იჩემებდნენ (ახლანდელი ჩვენი ქართველ კათოლიკებივით, რომ რომის კათოლიკებს ლათინებათ მოაქვთ თავი და სომხის კათოლიკეთ მესხობას, სომხად) დაიჭირეს მამა კაცები, რაც შეხვდათ და ტყვედ ჩაყარეს; აგრეთვე კარის-კარ დადიოდნენ და სთვლიდნენ სულსა რომ არ გაიპარნენ აწყვეტის დროსაო.

ამ სამწუხარო შემთხვევაში დიდი სიმამაცე გამოიჩინეს კათოლიკების წინამდგომ პირთა: შევიდნენ უშიშრად ახალ გაუცნობ ფაშასთან, შეატყობინეს ყოველი გარემოება და უთხრეს:

„ესენი ბერძნის ალიარებისა არიან, გვარად ქართველნი ჩვენსავით, სრულ ჩვენი განაყოფები, მონათესავე და ერთ მოდგმისა, ჯერ ჩვენ და ჩვენი ცოლშვილი გაწყვიტეთ, რომ ჩვენი ძმების უბედურება არ ვნახოთ და მერმეთ ესენიო!“

მაშინ ფაშამ დიდის მინათვით აჩუქა იმათ მართლ მადიდებლობა და აღარ აწყვიტა, მაგრამ კი კათოლიკებს წონა ფარად დაუჯდათ; ასი ქესა თეთრი გარდაიხადეს და ასე გათავდა საქმე.

1826 წ. ჰაჯი-ყადირ-ოღლი ოსმან-ფაშა წავიდა და ვანელი რაყიბ-ფაშა მოვიდა. მაშინვე ქრისტიანები ტყვედ ჩაყარა თავის მისლიმანობის დასამტკიცებლად, ვიდრე ცხრა ქესა თეთრი არ აიღო ჯარიმად. არ გაანთავისუფლა. ორი წელი დაშთა, მაგრამ ათი წლის დალი დაატყო საზოგადოებასა თავისი მძლავრობით.

1828 აჰმად-ფაშა მოვიდა 2 თუღით; მრთელი კათოლიკე მღვდლები სოფლებისა თუ ქალაქისა ტყვედ დაიჭირეს ციხეში, კოსტანტინეპოლის პავლე სომხის პატრიარხის მიზეზითა. რადგან რუს ხელმწიფე ქრისტიანი ხელმწიფების ბირებით აეშალა ოსმალოს, თავის ქვეშ-

პატარა თოვლი მოდის. გზა ყველგან თავისუფალია.

# საქართველო

## დღიური

*** ბათუმიდამ გვწერენ, რომ არც აჭარიდამ და არც საზოგადოთ ბათუმის მაზრის სხვა ადგილებიდამ თითქმის ენკენისთვის შემდეგ ერთი სულიც არ გადასახლებულა ოსმალეთშიო; ამ ზამთარში რჩებიანო, მაგრამ გაზაფხულზე კი აპირებენ ზოგიერთები გადასახლებას.

რაც შეეხება ჩვენს ქალაქში მოსულ ხალხს, რომელიც გაკეთებას, ერთს თვალის-დახამხამებაში გამდიდრებას მოელოდა, მომეტებული ნაწილი ამათგანი რაკი დარწმუნდა, რომ აქ ქუჩებში არ ჰყრია ოქროები, ისევ უკან დაბრუნდნენ სასო-წარკვეთილებიო.

*** ბათუმიდამვე გვატყობინებენ, რომ გავლილ ზაფხულში ზოგიერთ პირებმა განიზრახეს აქ სახალხო შკოლის გამართვა და ამ აზრით თუ ხელის-მოწერით, თუ ქართული თეატრით და თუ სხვა საშუალობით 500 მანეთამდინ მოაგროვეს. მას აქეთ ამ საქმის შესახებ არა ისმის-რაო. ჩვენი კორრესპონდენტი სრულიად საფუძვლიანად ამბობს, ამ კეთილი საქმის მოთავე პირები ზნეობით მოვალენი არიან შეატყობინონ საზოგადოებას— რა იქნა ის 500 მანეთამდინ შკოლისათვის მოგროვილი ფული? რატომ ამდენი ხანი დანიშნულებისა-მებრ ვერ მოიხმარეს? ეს მეორე წელიწადი არისო, რაც ბათუმში ფეხი ჩავდგითო და სირცხვილი არისო, რომ აქნობამდისინ მთელს მაზრაში არსად არცერთი შკოლა არ გაგვიხსნიაო...

გაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ ახალციხის ქალაქის რჩევას გარდაუწყვეტია, რომ 19 ნოემბერს იმპერატორის მშვიდობით გადარჩენის სახსოვრად, ქალაქმა გამოზარდოს თავის ხარჯით ორი შაგირდი თფილისის ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში. ამ სტიპენდიებს „ალექსანდრეს“ სტიპენდია ერქმევა.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ერთ ძველი წიგნების მოყვარეს ჩავარდნია ხელში ძველი ქართული ხელთნაწერი პოემა „დილარგიანი“, რომელიც, როგორც გადამწერის შენიშვნიდამა სჩანს, მეთორმეტე საუკუნეში ყოფილა დაწერილი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**სიღნაღი, 2 დეკემბერს.** ამას წინათ რომ თქვენს გაზეთში მოხსენებული იყო ქურდობის ამბავი, დუქნის პატრონებმა მთხრობლების შუამავლობით, იპოვნეს ქურდები, რომლებიც უფ. გამომძიებელთან გამოტყდნენ და იკისრეს თავიანთ დანაშაულობა. ქურდებიდამ ერთი არის თბილისელი „პალატოზ მურადაშვილი;“ ჯეელი ბიჭი 22 წლისა, მშვენიერი და მხიარული სახისა, პირზედ მუდამ ღიმილი მოსდის, უშიშარი და გამბედავი მოლაპარაკე; გამოძიების დროსაც უშიშრათ და გაბედვით დაუწყვია ლაპარაკი და არა თუ მარტო ეს დანაშაულობა უკისრნია, არამედ სხვა-და-სხვა დანაშაულობაც, რომელიც აქამდინ დაფარული ყოფილა. ამას უთხოვნია გამომძიებელისათვის, რაც კანონი გარდასახდელ პატიჟს მომცემსო, გთხოვთო

---

რდომ ქრისტიანთ ავის თვალით მზერა დაუწყო ხვანთქარმა. სომხობა რომ ყოველ ქრისტიანებზედ თავად ეჭირა; მოიხმო იმ დროინდელი პარაპეტ პატრიარხი რომელიც დარიგებული იყო პავლე პატრიარხისაგან, და სთხოვა თავდებობა სასომხეთო გრიგოლიანებისა, რომ რუსებისკენ არ გარდასულიყვნენ. პარაპეტმა მოახსენა:

„მე ჩემს მერჯულეთ გრიგოლიანებს ვუდგივარ თავდებათ, მაგრამ სომეხ კათოლიკებს კი არაო, რომელნიც თქვენი მოღალატე და მაბეზღარნი არიან ევროპიელ ხელმწიფებთანო. და თუ მომცემ ნებას იმათ ჩემთან შესაერთებლად, შემეძლოს ყოველი ღონისძიებას ხმარებაო, იმათ თავდებობასაც ვიკისრებო“.

ხვანთქარი თავის უშიშროებას ეძებდა და საქმის თავ-ბოლოს გაგებას კი არა, არამედ მისცა ფარმანით სრული უფლება ჰქონოდა სომეხ კათოლიკებზედა. იმასაც ის უნდოდა. კოსტანტინეპოლის თავი კაცები და სამღვდელოება ანატოლიაში ექსარია ჰყო; აღმოსავლეთის ანატოლიის კათოლიკენი დასავლეთს და დასავლეთისა აღმოსავლეთს. რა ნაირი წვალება-ტანჯვით, შეიწროებით და უწყალო მტარვალობით რამდენი სასულიერონი ღელვით დაიღუპნენ, რამდენი გზებში დაიხოცნენ და რამდენი სატყვევოში გარდაიცვალნენ! ერთი სიტყვით, დიოკლეტიანეს დევნულობას გარდაამეტა ბევრითა...

აღდგომას კათოლიკეთ ეკკლესიები დაბეჭდილი იყო; მხოლოდ პატრი კი ჰყავდათ მღვდლად. ერთხანს პეტრებიანთ ეკკლესიაც დაბეჭდილი იყო, მაგრამ შემდეგ პატრმა გაალებინა.

ამავე წელს აზრუმს განსდევნეს 25 მღვდლამდის, ამათში ბევრი მოხუცებული იყო, ბევრიც სნეული, და აზრუმის ხანჯირხანაში შეამწყვდიეს. იქ ბევრ შეწუხებას აძლევდნენ რჯულის გამოსაცვლელად; მაგრამ სიტყვა არსად არ გაუვიდათ; მოთმინებით გასწიეს ის შეწუხება, ტანჯვა და თვითან კი სომხებმა საუკუნო ძალი დაისვეს ქრისტიანების წინაშე.

თიბათვეში ქოსა-ფაშა ყარსს წავიდა, იქ მოელოდა ღენერალ პასკევიჩსა. 17-ს ჩვენი მღვდლები გამოვიდნენ აზრუმიდგანთავისუფლებულნი და ახალციხეს მოვიდნენ.

ამ დროს ახალციხის ჯარი გარდაუდგა პასკევიჩს ყარს მიმავალსა და დიდი ფოლხი მისცა წინ წასვლისა; ამის გამო პასკევიჩმა შეშალა პლანი ყარსზედ წასვლისა და დააპირა ახალციხის აღება, ეს საქმე მიწერა ქუთაისის გუბერნატორთან და იმანაც დეპუტატი პეტრე მეფისაშვილი მიიხმო და თხოვა უშოვნა ქალალდის წამლები კაცი ტრაპიზონის ფაშასთან, რომ შეეტყოთ ცვლილების მოხდენა. იმ აღვრეულობაში ვის შეეძლოს ფეხის გადადგმა? ვერავინ იკისრა იმერლებშიეს საქმე წიგნის წაღება. რომ გაუჭირდათ, ზაზოშვილს პავლეს (მამა ჩემს) შემოახვიეს ძალად ეს საქმე; იმას უნდა გაეტანს თავს; უარი აღარ ეთქვა, საიდა მშვიდობით ტრაპიზონს, შევიდა ციხეში ფაშასთან როგორც ელჩი და მიართვა რუსის ქალალდი. რა მიბრუნდა დანიშნულს სადგომში, იცნეს თურმე ახალციხელმა იქ მყოფმა იენიჩრებმა და აცნობეს ფაშას, რომ ჩვენი კაცია ახალციხელი და რუსისექალალდი მოუტანიაო. გაწყრება ფაშა და მაშინვე სასიკვდილოთ სატყვევოში ჩასმენ, შეიტყობენ სუდ ყარდაშენი (ძუძუს ძმები), იმ ღამეს გასტეხენ სატყვევოს და გაანთავისუფლებენ, რას ყოფით მოაწევს ქუთაისსა. სოფლებში გასდევნეს ქრისტიანების ვაჟკაცნი. თათრის ლაშკარი წავიდი აწყვერისაკენ და ახალქალაქისაკენ რუსის ჯარის წინ დასახვედრად.

3 მარტს ამავე წელს რუსი შემოესია კლდის მოსავლელი გზითგან. ბიბაურითგან (ჭალითგან), მრავალი ზარბაზანი

რომ ორი იმოდენა დამინიშნოთო, რადგანაც ღირსათ ვხედამო ჩემ თავსაო.

ამასთან დაჭერილი არის ერთიც სხვა პატარა ბიჭი სიღნაღელი ილიკო ხუციევი, რომელიც იქნება 17—18 წლისა, შარლატნობაში ნაქები, ტანათ პატარა, ლაწირაკი, პირტიტველა. თუმცა ესეც ამხანაკი ყოფილა, მაგრამ გამოძიების დროს არა უკისრნია-რა, მაგრამ როგორათაც ჰალატოზს უჩვენებია ნიშნები და პირდაპირაც ულაპარაკებიათ, ეს ყოველ დამნაშაულობაში იმის ამხანაკი ყოფილა სიღნაღშიაც და თფილისშიაცა.

ეს ორივე „რწყილის აბანოში“ არიან დატუსაღებული.

თუმცა ქურდები იპოვეს, მაგრამ მაინც კიდევ ჩვენს სიღნაღში რაღაც ჩაჩა-ჩუჩის ხმა გვესმის; როგორათაც სჩანს, კიდევ დარჩომილან რამდენიმე. თუ ესენიც მახეში გაებნენ და ხსენებულ ქურდებივით სინიდისიანათ გამოტყდნენ, მაშინ სიღნაღში უწინდელივით მშვიდობიანობა იქნება და არაფრის შიში არ გვექნება. მაგრამ მაინც სიფთხილე უნდა.

ჩვენს პატარა ქალაქში ღამის ფარნები არ არის, არსად არ მოჩანს სანთლის ბჟუტილი; რასაკვირველია რომ ქურდობა გახშირდება და თამამათაც ივლიან. კარგი იქნება, რომ ჩვენ ქალაქის მოთავეებმაც ცოტაც ამაზედ იფიქრონ; თუ საქალაქო ფული არ-არის, ახლათ მაინც მოიწადინონ შეგროვებას, ხარჯივით გააწერონ ყოველ სახლზე; დარწმუნებული ვარ, რომ მცხოვრებლები სიხარულით მიიღებენ ამ საქმეში მონაწილეობას. მგონებ დიდი ჯამი არ მოუნდება, სახლზედ თითო მანეთიც საკმაო იქნება განათებისათვის. მაგრამ რას იტყვი, რომ მთქმელს გამგონიც უნდა.

დურბინდი.

---

## გორის უეზდის მარშალს

გორის უეზდის კეთილშობილნი საზოგადოთ იმას იძახდნენ, მარშლათ ყმაწვილი კაცი რომ იყვესო, ბევრს კეთილს საქმეს გააკეთებსო. ეს აზრი სწორეც არის. როდესაც თქვენ გამოხვედით მარშლათ, საზოგადოთ ყველას სასიამოვნოდ დარჩათ და სთქვეს იქნება ეხლა მაინც რამე გაკეთდეს კეთილშობილებისათვისაო.

მაგრამ მგონია მოვსტყუვდით:

მაისის კრებაში ხომ, [illegible] თავმჯდომარის წყალობით, არ გადაწყდა მთელი თვის გუბერნიის კეთილშობილთ ხარჯზედ გაემართათ სასწავლებელი (გიმნაზია). შემდეგ უეზდებიდან წარმოსდგესო განაჩენებიო, ასე გარდაწყვიტეს. თქვენ გსურდათ მობძანება გორში და მოგეხდინათ ამაზედ ქართლის თავად-აზნაურთა კრება, რომელსაც უნდა ჰქონოდა სჯა ჩვენის შვილების სწავლაზედ; კარგათ მოგეხსენებათ, რომ, სიღარიბის გამო, ჩვენ შვილებს ყოველი სწავლა-განათლების გზა შეკრული აქვთ..

ამ საგნისათვის იმნაირათ მოგელოდებით, როგორც ჩვენის სულის ჩამდგმელს.

მაგრამ აი ლამის ერთი წელიწადი დავკარგეთ. თუ რომ ამ ორ თვეში არ მოახდენთ საზოგადო კრებას, მერმის ამ დრომდინ არღარა იქმნება-რა, რაკი მუშაობა დაიწყება და მეოთხედიც აღარ შეიკრიფება.

რამდენათაც მე გიცნობთ, არა მგონია, რომ, როცა მარშლობაზე იყარეთ კენჭი, თქვენი აზრი ის ყოფილიყო, რაც სხვებსა აქვს ამგვარ შემთხვევაში, ე. ი. თქვენ დაწინაურდეთ, სამსახურში შეხვიდეთ,

---

ისროლეს: წნისისკენ და ტავშანთავისკენ დიდი ომი ჰქნეს. ექვს საათ ნახევარს გორის გარს სანგარი იყო შემოკლებული, რუსებმა რომ ვერ შესტეხეს, ქართველის ჯარს და თავად-აზნაურს მისცეს კერძად, მისცვინდნენ ხმალ-და-ხმალ სატევრებით, ბევრი გმირი დაეცა ორსავ მხარეს, აჯობეს სიფიცხით ქართველებმა და დაიჭირეს ტავტან-ფაშა. ატანინა პასკევიჩმა და მოუწყო ციხეს ზარბაზნები 7, 8, 9 და 10 მარტს უწყეს რუსებმა ძლიერი ზარბაზნის სროლა სეტყვასავით ცვიოდა გულლა თუ ციხეში და თუ ქალაქში. 11 ხიდის ყურთან და არაბის ყანასთან სანგარი ჩამოიტანეს და ისროლეს. 12 მსუბუქი სროლა იყო. ფალევან-ალის შვილი მუთიალა (ხოსპიელი ბეჟების მამა), ჩამოაგზავნეს რუსებმა ფაშასთან ელჩად. 14 ხანდრის წვერს ქვემოდ ძეშხელის (ახლა რომ კოშკია) თაბია აიღეს.

რუსის კარვები ურიის საფლავებამდის იდგა. ურიებმა აიღეს საკაცე, ვითამ მკვდარი მიაქვთ დასამარხავად, ღამით საფლავი მოეთხრევინებინათ ჩადრების ახლოს, წაიღეს საკაცე ხაზმით და მიულოცეს რუსებს მისი მიზეზით ახალციხის აღება. 15-ს დილითვე დიდი სროლა ასტყდა შუადღემდის; მერმე ხმალ-და-ხმალ დაერინენ. წინ ქართლის ჯარი მოდიოდა, უკან რუსი სუნგებით. დიდი წყვეტა გაჩნდა. იქამდის აირნიენ, რომ ძმა ძმას ვეღარ ცნობდა, სატევრით სწლემდა, ბოლოს შემოსტეხეს წმ. ჯვარის ეკლესიითგან სანგრები და რამდენიმე ალაგას ცეცხლი მისცეს თვალ-ნაჩენ სახლებსა ზემო, ქვემო და ღელის უბნებში. რაც შეხვდათ ხელად შემოსეულ ჯარს, აიკლეს. როცა ცოტა დადოდაგილდნენ, ქვიაშვილმა სალდათები ჩაიყვანა თავის მარანში და რომით სავსე ბოჭკები აჩვენა, რა არის-გავყიდი კარგ ფასადაო. ამაზედ იგრიალა მთელმა ჯარმა, ამოიტანეს ის რომები და სრულ გამოცალეს. დათვრა ჯარი და დაერია ქრისტიანებში, ყველ— აიკლეს; ას კაცამდინ ქრისტიანები დახოცეს...

მეორე დღეს დაიბარა მრთელი ქრისტიანები პასკევიჩმა ხანდრის წვერისკენ. მივიდნენ და გამოცხადნენ. პირზედ სდვა ქრისტიანებს ურიებმა გამოგვიცხადეს თანაგრძნობა, ქრისტიანებისაგან კი არავინ აღმოჩნდითო! მაშინ წარდგა ს. აზნაუროვი და მოახსენა: „თქვენო ბრწყინვალებავ! ჩვენ სარწმუნოება ნებას არ გვაძლევს ჩვენი მფლობელი ხელმწიფის მოღალატობასა. ურიები, როგორც ოსმალოს დაადგეს მაშინვე პირზედ ფეხი, ისე გაჭირვებულ შემთხვევაში თქვენც გიღალატებენო! როგორც ჩვენ ოსმალოსთან ერთგული ვიყავით, ისე თქვენთან ერთგული ვიქმნებითო! „ამაზედ გაეცინა პასკევიჩს თურმე და აღარა თქვარა!...“

1829 წ. 26 იანვ. სხვილისს ერთს რუსს თავი მოსჭრეს. რუსებმა წყალთბილის სოფელი აიკლეს. შემდეგ აჭარის ჯარი ჩამოვიდა უდეს, ახლციხეს შემოადგა; ქრისტიანები ციხეში შეემწყვდნენ, ბევრნი გარედ დარჩნენ. ციხის ახლო სახლებითგან ლალუმი შეიტანეს ციხეში. თ. ზებუთოვმა სტეფანე ზაზოშვილი გარდმოჰკიდა ღამე ციხითგან; ის შევიდა აჭარლებში უშიშრად, გაიგო ყოველი მათი საქმე; ღამე რომ მიწვნენ, გამოვიდა 4 კარი გარდუხირხა გარეთგან და მისცა ცეცხლი სახლებს. ამით დიდად ავნო აჭარლებს და დაეფოლხათ ციხის ლალუმის მიცემა, 20 აჭარელი გაიქცა 80 ტყვე გაიყვანა მარტო კათოლიკებითგან, ბევრი დაიხსნეს ქრისტიანებმა და ბევრიც გარედ გადარჩნენ...

ეს გახლავსთ ჩემი შეკრებილი წყაროები დიდის შრომით, მღვდლეების დღიურებითგან, ძველი დღიურები კი დაკარგულა, არსად არის.

ვინმე მესხი.

ახალციხე, ნოემბრის 30.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფიცრობა მიიღოთ და საზოგადო საქმეებს კი ყურადღება არ მიაქციოთ. მარამ არ შეიძლება თავის-თავისთვისაც ეცადოს კაცმა და საზოგადოებისთვისაც?!.

დასაჯერებელი არ არის რომ ამბობენ, ვითომც ამ შემთხვევაში თქვენ ვიღაცას რაღაცასათვის ხათრს უწევთ და იმიტომ აგვიანებ ამ საქმეს, არ გსურთ ამ კეთილ განზრახვის შესრულებას ხელი მოუწყოთ.

იმედია, როგორც ყმაწვილი და განათლებული კაცი ამ წერილს გაზეთით მტრობაში არ ჩამამართმევთ. მე მსურს მხოლოთ, რომ გაზეთის საშუალებით გაიგოს ყველამ—რა მიზეზია ამტენი ხნის დაგვიანება და როდის ინებებთ ამ კეთილ საქმის დაწყობას?

ბორის უეზდის ერთი კეთილშობილთაგანი.

ბორი, 6 დეკემბერს.

---

# განცხადებანი

მუდამ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული რუსული გაზეთი

# „თფილისის განცხადებანი“

ხსენებულ გაზეთის რედაქციას განზრახვა აქვს, რომ 1880 წელს გაავრცელოს პოლიტიკურ-ლიტერატურული ნაწილი და აცნობოს თავის მკითხველთ არათუ მარტო ისეთი ამბები, რომელნიც თფილისს შეეხებიან, როგორც დღემდინ იყო, არამედ ისეთიც, რომელიც მთელს კავკასიასა და ქვეყანას შეეხება მს ცნობები მოკლედ იქნება გაზეთში მოყვანილი, რომ ბევრი დრო არ დაჰკარგოს მკითხველმა; რაც საინტერესო არ არის, არ დაიბეჭდება; საზოგადო კითხვებს უპირატესობა ექნება კერძოებზე. მთელი წლის განმავალობაში იქნება პოლიტიკური და კურსის ტელეგრამმები.

გაზეთის ფასი: ერთის წლისა, თფილისში მიტანით—3 მან., სხვა ქალაქებში გაგზავნით—4 მან.

(3—1)

---

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ მეექვსე (VI) ტირაჟში, რომელიც მოხდა 7 დეკემბერს 1879 წლისა, გამოვიდნენ ხსენებული ბანკის შემდეგნი გირავოს ფურცელნი:

ა. 4 3½ წლიანნი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| III | სერიისა | 100 | მანეთიანნი | № № | 19, 49, 59 და 69. |
| IV | „ | 100 | „ | „ „ | 71 და 81. |
| V | „ | 100 | „ | „ „ | 60 და 90. |
| VI | „ | 100 | „ | „ „ | 24, 34 და 94. |
| VII | „ | 100 | „ | „ „ | 34 და 234. |

ბ. 18 ⁷/₁₂ წ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| II | სერიისა | 1000 | მანეთიანი | № | 67. |
| III | „ | 1000 | „ | „ | 5. |
| „ | „ | 100 | „ | № № | 12, 32 და 52. |
| IV | „ | 1000 | „ | № | 22. |
| „ | „ | 100 | „ | № № | 12 და 62. |
| V | „ | 100 | „ | „ „ | 4 და 24. |
| VI | „ | 500 | „ | № | 1. |
| „ | „ | 100 | „ | „ | 48. |
| VII | „ | 500 | „ | „ | 4. |
| „ | „ | 100 | „ | № № | 7, 27 და 87. |

ზღვევა ტირაჟში გამოსულთა გირავოს ფურცელთა და ვადიანთა კუპონთა მოხდება ხოლმე: ქ. ქუთაისს, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში; პეტერბურგს—უ.უ. ტომსონ ბონარ და კამპანიასთან, და თფილისს—თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. (1—1)

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ“ ფირმით

სავაჭრო სახლი

# იაგორ კასუმოვი და კამპ.

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმოების წარმატება თავნი ფული სავაჭრო სახლისა „იაგორ კასუმოვი და კამპ.“ უნდა იქმნეს

## 750,000 მანეთი

მს ფული შესდგება პირველი ხარისხის (რაზრიადის) პაის 1000 მან. თან-დათან შემოტანით.

მეორე ხარისხის პაები ღირს: 500, 100, 50 და 25 მანეთი.

**ამ თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:**

1) ბაასესხებს ფულს იმ პირობით, რომ ფულის ამღებმა თან-და-თან გადაიხადოს ვალი.

2) მიიღებს შესანახად და სასარგებლოთ დროებით შეტანილს ფულს და

3) იკისრებს და შეასრულებს ისეთს სავაჭრო-საწარმოვო საქმეებს, რომელნიც ამხანაგობას ღონის-ძიებას მისცემენ, რომ ქ. თფილისის მცხოვრებთათვის გააიაფოს ყოველგვარი აუცილებელად საჭირო საგნები (ხორაგეული და სხვ.).

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა გამართულია თ. თუმანოვების სახლში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ.

კანტორა ღია არის: დილის 7 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ; უქმ დღეებში კი დილის 7 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

---

# ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1880—1883 წლებისათვის ხმოსანების (გლასნების) ამორჩევა დანიშნულია: პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ამომრჩეველთათვის 1 6 დ ე კ ე მ ბ რ ი ს ა თ ვ ი ს, მ ე ო რ ე კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს—1 8 დ ე კ ე მ ბ ე რ ს და მ ე ს ა მ ე კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს—2 0 დ ე კ ე მ ბ ე რ ს.

ყველა ამომრჩეველს საკუთრით სახელდობრივ უწყება მოუვა ამ ამორჩევების თაობაზედ. (3—2)

Позволено цензурою. Тифлисъ, 13 Декабръ 1879 г. Типографія Меликова გამომც. ხ. მელიქიშვილი. რედ. ს მესხი